საქართველოს მოსახლეობის განწყობების კვლევა საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით

2025 წლის ივნისი

სარჩევი

მეთოდოლოგია - 3

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ზოგადი შეფასება - 4

ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები - 10

მიმდინარე პროტესტის მიმართ დამოკიდებულება -13

ქვეყნის საგარეო კურსის შეფასება და საგარეო პრიორიტეტები - 22

არჩევნების მიმართ დამოკიდებულება - 31

პოლიტიკური ძალების რეიტინგები - 39

პოლიტიკოსების მიმართ კეთილგანწყობა - 45

სანქციების მიმართ დამოკიდებულება - 48

ნდობა ინსტიტუტების მიმართ - 51

FARA-ს მიმართ დამოკიდებულება - 55

მედიასაშუალებებით სარგებლობა და ნდობა - 57

ძირითადი მიგნებები - 63

მეთოდოლოგია

- **კვლევის ტიპი:** რაოდენობრივი კვლევა
- **სამიზნე ჯგუფი:** საქართველოს სრულწლოვანი (18+) მოსახლეობა
- **შერჩევით ერთობლიობა:** 2000 რესპონდენტი
- **მეთოდი:** პირისპირ ინტერვიუ
- **შერჩევა:** ალბათური; კერძოდ, კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციით
- **შერჩევის ცდომილება:** ±2.2% მთლიანი შერჩევისთვის, 95%-იანი სანდოობით
- **გამოპასუხების წილი:** 71%
- **საველე სამუშაოები** ჩატარდა 2025 წლის 17-29 ივნისის შუალედში.

კვლევის დონორი: სამოქალაქო საზოგადოების ფონდი

კვლევის განმახორციელებელი: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA).

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ზოგადი შეფასება

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (58%) ქვეყნის **არასწორი მიმართულებით** განვითარებაზე მიუთითებს.

რეგიონებში ასეთი დამოკიდებულება აქვს 52%-ს.

ქვეყნის არასწორ კურსზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლები (88%) და თბილისელები (71%).

ქ/ოცნების ამომრჩევლების 85% ქვეყნის სწორი მიმართულებით სვლაზე მიუთითებს.



ბოლო 2.5 წლის განმავლობაში **ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უცვლელობაზე** მიუთითებს თითქმის ყველა ჯგუფის უმეტესი ნაწილი.

მეორე მხრივ, თითქმის ყველა ჯგუფში, ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მაჩვენებლები აჭარბებს გაუმჯობესების მაჩვენებლებს.

საქართველოს, თბილისისა და რეგიონების მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას უჩივის.

პროევროპული ოპოზიციის მომრჩეველთა ჯგუფში უმრავლესობა (55%) მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას აღნიშნავს.

ქ/ოცნების ამომრჩეველთა 40%-მდე ეკ. მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

თქვენი შეფასებით, რამდენად შეიცვალა თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ორნახევარი წლისგანმავლობაში? (2023-25 წწ.) (N=2000)



საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ადასტურებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ბოლო 2 წლის ოფიციალური მონაცემები, მათი ოჯახების ეკონომიკურ ზრდაზე **არ ასახულა** - ამ პერიოდში ეს მდგომარეობა იგივე დარჩა ან გაუარესდა.

ამასვე აღნიშნავს თბილისის, რეგიონებისა და პროევროპული ოპოზიციის ამომჩეველთა უმრავლესობა.

ქ/ოცნების ამომრჩევლებში ყველაზე მეტია (38%) იმათი წილი, ვინც ეთანხმება, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მათი ოჯახების ეკონომიკურ ზრდაზე აისახა.

ოფიციალური მონაცემებით, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზარდა, ხოლო 2024 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპმა მოიმატა და 9.1% შეადგინა. რამდენად აისახა ბოლო 2 წელიწადში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე? (N=2000)



საქართველოში **პოლიტიკური კრიზისის** არსებობას არსებობას აღიარებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (72%);

ასევე, ყველა ქვეჯგუფის უმრავლესობა, ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა.

თვით ქ/ოცნების ამომრჩევლებში ყოველი მეორე პოლიტიკური კრიზისის არსებობას ადასტურებს.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ, დღესდღეობით, საქართველოში პოლიტიკური კრიზისია? (N=2000)



საქართველოს მოსახლეობაში, ისევე როგორც ქვეჯგუფებში (ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა) **პოლიტიკურ კრიზისზე ძირითად პასუხისმგებელ აქტორად** დასახელებულია ქართული ოცნება.

ქ/ოცნების ამომრჩევლები პოლიტიკური კრიზისზე ძირითად პასუხისმგებლობას აკისრებენ ნაციონალურ მოძრაობას და სხვა ოპოზიციურ პარტიებს.

თქვენი აზრით, ვინ არის საქართველოში არსებულ კრიზისზე პასუხისმგებელი? (N=1354)



ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები

ქვეყნის წინაშე მდგარ მნიშვნელოვან პრობლემებს შორის **საქართველოს მოსახლეობაში** დაწინაურებულია:

- მაღალი ფასები
- ოკუპირებული ტერიტორიები
- ემიგრაცია
- დაბალი პენსიები
- ნარკოტიკების გავრცელება
- დაბალი ხელფასები
- სიღარიბე
- უმუშევრობა და ა.შ.

თბილისელებში, დამატებით, ხაზგასმულია:

- დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შელახვა
- სასამართლოს არადამოუკიდებლობა
- დასავლეთთან გაუარესებული ურთიერთობა და ა.შ.

რამდენად მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები ჩვენი ქვეყნისთვის ("ძალზე მნიშვნელოვანია") (N=2000)

საქართველოს მოსახლეობაში ყოველი მეორე თვლის, რომ ქ/ოცნების ხელისუფლების პირობებში ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია.

ამას იზიარებს **თბილისელების** (63%) და **პროევროპული ოპოზიციური პარტიების** ამომრჩევლების (81%) უმრავლესობა.

რეგიონების მოსახლეობაში პოზიციები გაყოფილია.

ქ/ოცნების ამომრჩევლებში დიდი უმრავლესობა (85%) მიიჩნევს, რომ არსებულ ხელისუფლებას ამ პრობლემების მოგვარება შეუძლია.

თქვენი აზრით, ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში რამდენად შესაძლებელია თქვენ მიერ გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრა? (N=2000)



მიმდინარე პროტესტის მიმართ დამოკიდებულება

მიმდინარე საპროტესტო აქციებს საქართველოს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (43%) **ემხრობა** (არ ემხრობა 35%).

მხარდაჭრა მნიშვნელოვნად იზრდება თბილისელებში (62%) და პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში (78%).

რეგიონებში საპროეტსტო აქციებს არ ემხრობა 40%, ხოლო ემხრობა 35%.

ქ/ოცნების ამომრჩევლებში საპროტესტო აქციებს არ ემხრობა გამოკვეთილი უმრავლესობა (75%).



ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მომხრეა საქართველოს (55%), თბილისისა (63%) და პროევროპული ოპოზიციის ამომრჩეველთა (88%) უმრავლესობა.

რეგიონებში ახალ საპარლამენტო არჩევნებს მხარს უჭერს ყოველი მეორე.

ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას ეწინააღმდეგება ქ/ოცნების ამომრჩეველთა 82%.



რამდენად ეთანხმებით საქართველოში მიმდინარე პროტესტების მხარდამჭერთა მოთხოვნებს...

კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერაა გამოხატული საპროტესტო აქციების დროს დაკავებული ადამიანების განთავისუფლების მიმართ:

საქართველო - 73%
თბილისი - 79%
რეგიონები - 70%
პროევროპულიოპოზიციის ამომრჩევლები - 92%



თვით ქ/ოცნების ამომრჩევლების 40% ემხრობა საპროტესტო აქციების დროს დაკავებული ადამიანების განთავისუფლებას (ეწინააღმდეგება - 50%)

ქ/ოცნების წინააღმდეგ **პროტესტის გაგრძელებას** ემხრობა:

საქართველოს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (44%)

თბილისელების 60%-მდე

პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების 83%

რეგიონების მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (45%) ფიქრობს, რომ პროტესტი უნდა **შეწყდეს**

ამას იზიარებს ქართული ოცნების ამომრჩეველთა 90%-მდე

ქვემოთ მოცემული წყვილადი დებულებებიდან რომელს ეთანხმებით? (N=2000)



მზია ამაღლობელის მიმართ წაყენებულ ბრალდებას **უსამართლოდ** მიიჩნევს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (59%).

უსამართლობის განცდა მაღალია რეგიონებშიც (54%), თუმცა, გაცილებით მაღალია თბილისელებში (70%).

პროევროპული ოპოზიციის და ქ/ოცნების ამომრჩევლებში დიამეტრალურად საპირისპირო შეფასებებია.

თუმცა, ქ/ოცნების ამომრჩევლების 22% მზია ამაღლობელის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას უსამართლოდ მიიჩნევს, ხოლო თითქმის ამდენივე (23%) შეფასებას ვერ/არ გამოთქვამს.



საქართველოს (54%), თბილისის (66%) და, განსაკუთრებით, პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების (81%) უმრავლესობა მზია ამაღლობელს **პოლიტპატიმრად** მიიჩნევს.

რეგიონებში თითქმის მეორეს (49%) მზია ამაღლობელი პოლიტპატიმრად მიაჩნია;

ქ/ოცნების ამომრჩევლების 60% ფიქრობს, რომ მ. ამაღლობელს ბრალი სამართლიანად აქვს წაყენებული.

ქვემოთ მოცემული წყვილადი დებულებებიდან რომელს ეთანხმებით? (N=2000)



ირაკლი ოქრუაშვილის, ზურაბ ჯაფარიძის, ნიკა მელიასა და ნიკა გვარამიას პატიმრობა **უსამართლოდ** მიაჩნია **საქართველოს მოსახლეობიდან** ყოველ მეორეს (49%).

თბილისელებში ეს პოზიცია აქვს უმრავლესობას (59%), ხოლო რეგიონებში - 45%-ს.

აღნიშნული პირების პატიმრობას უსამართლოდ მიიჩნევს **პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების** დიდი უმრავლეობა (81%).

ქ/ოცნების ამომრჩევლების 67%-ს დასახელებული პირების პატიმრობა სამართლიანად მიაჩნია.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სამართლიანია ირაკლი ოქრუაშვილის, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, ნიკა მელიასა და ნიკა გვარამიას პატიმრობა? (N=2000)



საქართველოს მოსახლეობისთვის ენმ-ის სავარაუდო დანაშაულების გამომძიებელი კომისიის საქმიანობა უფრო **არალეგიტიმურია** (41%), ვიდრე ლეგიტიმური (36%).

აღნიშნული კომისიის არალეგიტიმურობას აღიარებს თბილისელთა (58%) და პროევროპული ოპოზიციის ამომრჩეველთა (71%) უმრავლესობა.

რეგიონებში შეფასება უფრო მეტად გადახრილია კომისიის ლეგიტიმურობისკენ (40%).

ქ/ოცნების ამომრჩეველთა 70%-მდე ამ კომისიის საქმიანობას ლეგიტიმურად მიიჩნევს.



ქვეყნის საგარეო კურსის შეფასება და საგარეო პრიორიტეტები

როგორ დაახასიათებდით, დღესდღეობით, ქართული ოცნების საგარეო კურსს? (N=2000)



საქართველოს მოსახლეობაში (55%) და ყველა სამიზნე ქვეჯგუფში (ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა), უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქ/ოცნების **საგარეო კურსი რუსეთის და რუსეთთან დაახლოებული ქვეყნების ინტერესების გატარებას** ემსახურება.

ქ/ოცნების ამომრჩეველთა უმრავლესობის (66%) აზრით, ქ/ოცნება **ეწევა დაბალანსებულ პოლიტიკას** და კონკრეტულად არც ერთი ქვეყნის ინტერესებს არ ატარებს.

ევროკავშირში საქართველოს გაწევრების მიმართ მხარდაჭერა მაღალია საქართველოს მოსახლეობაში (83%) და ყველა სამიზნე ქვეჯგუფში; თუმცა, შედარებით დაბალი (68%) ქ/ოცნების ამომრჩევლებში.

ნატოში გაწევრების მიმართ მხარდაჭერა გამოხატულია ყველა სამიზნე ჯგუფის უმრავლესობაში, ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა (50% მხარს უჭერს, 39% - ეწინააღმდეგება).

ოდკბ-ში გაწევრების მიმართ გამოკვეთილი მიუღებლობაა.



მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს გაერთიანებას... (N=2000)



ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში **ევროკავშირში გაწევრების მოლოდინი** არ აქვს:

- საქართველოს მოსახლეობაში - 46%-ს
- თბილისის მოსახლეობაში - 56%-ს
- რეგიონების მოსახლეობაში - 42%-ს
- პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში - 81%-ს

ქ/ოცნების ამომრჩევლების ჯგუფში თითქმის ყოველი მეორე (49%) ფიქრობს, რომ დღევანდლი ხელისფლების პირობებში ევროკავშირში გაწევრება მოსალოდნელია

თქვენი აზრით, ევროკავშირში გაწევრება უფრო მეტად მოსალოდნელია... (N=2000)



გამოკითხვა იმეორებს 2025 წლის მაისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს:

ე.წ. „დიფ სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის არსებობა და გავლენები **არ არის დამაჯერებელი** არც საქართველოს მოსახლეობის (53%), არც თბილისის მოსახლეობის (62%) და, მით უფრო, არც პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების (75%) უმრავლესობისთვის.

„დიფ სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის არსებობის სჯერა ყოველ მეორეს ქ/ოცნების ამომრჩევლების ჯგუფში (49%).



ყველა სამიზნე ჯგუფში (ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა) გამოკვეთილი უმრავლესობა აღიარებს, რომ **დიდი ან სერიოზული საფრთხე არსებობს,** საქართველოს შეუჩერდეს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა.

ქ/ოცნების მომრჩეველთა ჯგუფში ამ საფრთხეს ხედავს მესამედი, ხოლო უმრავლესობა (53%) ფიქრობს, რომ ამის მცირე ან არავითარი საფრთხე არ არსებობს.



იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს შეუჩერდება უვიზო მიმოსვლა, ყველა სამიზნე ჯგუფი, ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა, **ძირითად პასუხისმგებლობას** აკისრებს ქ/ოცნებას.

ქ/ოცნების ამომრჩევლებში პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი გადატანილია ოპოზიციაზე.

თუ საქართველოს შეუჩერდა ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა, თქვენი აზრით, ვისი პასუხისმგებლობა იქნება ეს პირველ რიგში? (N=2000)



როგორც საქართველოს, ისე თბილისისა და რეგიონების მოსახლეობაში რესპონდენტების აზრი **გაყოფილია** იმის შესახებ, თუ, რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ, რამდენად დიდი ან მცირე საფრთხე არსებობდა რუსეთსა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დაწყების.

პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში უმრავლესობა (60%) თვლის, რომ ომის **დაწყების მცირე ან არავითარი საფრთხე** არ არსებობდა.

ქართული ოცნების ამომრჩევლების უმრავლესობა (67%), პირიქით, თვლის, რომ რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დაწყებოს **დიდი ან სერიოზული საფრთხე** არსებობდა.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან 3 წელზე მეტი გავიდა. თქვენი აზრით, ამ ხნის მანძილზე, რამდენად დიდი ან მცირე საფრთხე არსებობდა იმისთვის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებები დაწყებულიყო? (N=2000)



საქართველოს (47%) და რეგიონების (49%) მოსახლეობაში **უფრო დიდი ნაწილი** ფიქრობს, რომ ქ/ოცნებამ საქართველოს თავიდან ააცილა რუსეთთან საომარი მოქმედებების დაწყება.



რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ქ/ოცნებამ საქართველოს თავიდან ააცილა რუსეთთან საომარი მოქმედებების დაწყება? (N=2000)



არჩევნების მიმართ დამოკიდებულება

თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად ჩატარდა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები? (N=2000)





თქვენი აზრით, “ქართული ოცნების” ხელისუფლება დღეს ... (N=2000)

საქართველოს და რეგიონების მოსახლეობაში პოზიციები **გაყოფილია:** ერთი (შედარებით დიდი) ნაწილი მიიჩნევს, რომ ქ/ოცნების ხელისუფლება არალეგიტიმურია (44%), ხოლო მეორე ნაწილი - ლეგიტიმურია (39%).

თბილისელების უმრავლესობს (56%) ქ/ოცნება **არალეგიტიმურად** მიაჩნია.





საქართველოს მოსახლეობაში უფრო დიდი ნაწილი (46%) ემხრობა ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციის უპირობო მონაწილეობას.

ბოიკოტს ემხრობა დაახლოებით მეხუთედი (22%), ხოლო 16% - ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციის შესვლას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დათქმით.

იგივე ტენდენციაა **რეგიონებში.**

თბილისის მოსახლეობაში ოპოზიციის მხრიდან ადგილობრივი არჩევნების **ბოიკოტს ან მასში მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დათქმით** მონაწილეობას უფრო მეტი უჭერს მხარს (47%), ვიდრე უპირობო მონაწილეობას (41%).

პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში უფრო დიდი ნაწილი (43%) ოპოზიციის მხრიდან ადგ. არჩევნების ბოიკოტის მომხრეა, ხოლო 26% - დათქმით მონაწილეობის (26%). უპირობო მონაილეობას ემხრობა 20%.

ქ/ოცნების ამომრჩეველთა 70% ადგ. არჩევნებში ოპოზიციის მონაწილეობას უჭერს მხარს, ყოველგვარი დათქმის გარეშე.

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა პოზიცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 2025 წლის ოქტომბერში გაიმართება. თქვენ რომელ პოზიციას იზიარებთ? (N=2000)



ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის **მაღალი მზაობა**
(ქულა 10) აქვს საქართველოს მოსახლეობის 48%-ს.

ადგ. არჩევნებში მონაწილეობის კიდევ უფრო მაღალი მზაობა აქვთ რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩევლებს (52%) და ქართული ოცნების ამომრჩევლებს (69%).

თბილისელების 40%-ს აქვს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მაღალი მოტივაცია, ხოლო პროევროპული ოპოზიციის ამომრჩეველთა შორის ასეთია მხოლოდ 34%.

შესაბამისად, ამ ორ ჯგუფში ყველაზე მაღალია არჩევნებში გადაწყვეტილად არმონაწილეთა (ქულა 0) მაჩვენებლები (თბილისი - 18%; პროდასავლური ოპოზიციის ამომრჩევლები - 17%)

როგორც ცნობილია, 2025 წლის ოქტომბერში დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. რამდენად მოსალოდნელია, რომ მიიღოთ მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში? (N=2000)



ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის **მაღალი მზაობა** ყველაზე მეტად აქვთ ქ/ოცნების/ხალხის ძალის ამომრჩევლებს (70%-მდე).

არც ერთი ოპოზიციური ძალის ამომრჩეველთა ის ნაწილი, ვინც დადასტურებულად აპირებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას, არ შეადგენს უმრავლესობას.

ოპოზიციური ძალების ამომრჩევლებს შორის, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის **მაღალი მზაობა ყველაზე მეტად** აქვთ გახარია - საქართველოსთვის ამომრჩევლებს (47%), ხოლო ხოლო **ყველაზე ნაკლებად** - კოალიცია ცვლილებებისთვის ამომრჩევლებს (25%).

პოლიტიკური ძალების ამომრჩეველთა ის ნაწილი, ვინც დადასტურებულად აპირებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას (ქულა 10, 0-10 ქულიან სკალაზე)



ადგილობრივი არჩევნების სამართლიანად ჩატარების მიმართ **საქართველოს მოსახლეობაში** პოზიციები გაყოფილია: ერთ ნაწილს (45%) ასეთი მოლოდინი არ აქვს, ხოლო მეორე ნაწილს (43%) - აქვს.

რეგიონებში ადგ. არჩევნების სამართლიანად ჩატარების მოლოდინი აქვს ყოველ მეორეს, ხოლო ასეთი მოლოდინი არ აქვს 37%-ს.

თბილისელთა უმრავლესობას (71%) არ აქვს იმის მოლოდინი, რომ ადგ. არჩევნები სამართლიანად ჩატარდება.

პროევროპული ოპოზიციის და ქართული ოცნების ამომრჩევლებში ურთიერთსაპირისპირო მოლოდინებია.

რამდენად გაქვთ იმის მოლოდინი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სამართლიანად ჩატარდება? (N=2000)



ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, ყველა ჯგუფში **სკეპტიკური** მოლოდინები ჭარბობს („ალბათ, არ დაინიშნება“/ „არ დაინიშნება“).

შედარებით ოპტიმისტურად გამოიყურებიან **პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლები:** ყოველი მესამე ამ ჯგუფში ამბობს, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნები აუცილებლად დაინიშნება/ალბათ დაინიშნება.

როგორია თქვენი მოლოდინი ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით? (N=2000)



პოლიტიკური ძალების რეიტინგები

რეიტინგები ალოკაციის გარეშე

ქართული ოცნების რეიტინგი საქართველოში არის 25%, რომელიც მნიშვნელოვნად იკლებს თბილისში (15%) და რამდენადმე იმატებს რეგიონებში (29%).

მეინსტრიმული ოპოზიციური პარტიების თანამიმდევრობა ასეთია:

- **კოალიცია ცვლილებებისთვის**: (საქართველო - 11%, თბილისი - 13%, რეგიონები - 10%).
- **ერთიანობა - ენმ**: (საქართველო - 10%, თბილისი - 10%, რეგიონები - 10%)
- **ძლიერი საქართველო**: (საქართველო - 4%, თბილისი - 5%, რეგიონები - 4%)
- **გახარია - საქართველოსთვის**: (საქართველო - 5%, თბილისი - 9%, რეგიონები - 3%)

ჩამოუყალიბებელი/ნიჰილისტი ამომრჩევლის წილი 36-37%-ია

ამ შაბათს რომ იმართებოდეს საპარლამენტო არჩევნები, რომელ პარტიას/პოლიტიკურ ძალას მისცემდით ხმას, შემდეგი არჩევანი რომ გქონდეთ?



რეიტინგები ალოკაციით (რეალობასთან მიახლოებული)

ქართული ოცნება (საქართველო: ივნისი - 35.8%; მაისი - 35.2%)

კოალიცია ცვლილებებისთვის (საქართველო: ივნისი - 18%; მაისი - 17%)

ერთიანობა - ენმ (საქართველო: ივნისი - 16.6%; მაისი - 14.6%)

ძლიერი საქართველო (საქართველო: ივნისი - 9.5%; მაისი - 13.4%)

გახარია საქართველოსთვის (საქართველო: ივნისი - 10%; მაისი - 12.4%)

თბილისში ქ/ოცნების რეიტინგი : ივნისი - 23%; მაისი - 24.6%

ამ შაბათს რომ იმართებოდეს საპარლამენტო არჩევნები, რომელ პარტიას/პოლიტიკურ ძალას მისცემდით ხმას, შემდეგი არჩევანი რომ გქონდეთ? (ალოკაციით) (N=2000)



ამომრჩეველთა იმ ნაწილში, ვინც დადასტურებულად აპირებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას, **მნიშვნელოვნად იზრდება** ქ/ოცნების/ხალხის ძალის რეიტინგი, ხოლო **მნიშვნელოვნად კლებულობს** ყველა მეინსტრიმული ოპოზიციური ძალის რეიტინგი.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქ/ოცნების ამომრჩეველს გააჩნია გაცილებით მაღალი მზაობა ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობისათვის, ვიდრე ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩევლებს.

პოლიტიკურ ძალთა რეიტინგები იმ ამომრჩეველთა შორის, ვინც დადასტურებულად აპირებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას
(ქულა 10, 0-10 ქულიან სკალაზე)



საქართველოს მოსახლეობაში თითქმის ყოველი მეორე (49%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რომ თუ ქ/ოცნება არ დარჩება ხელისუფლებაში, გაიზრდება რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხე (ეთანხმება 37%)

დაახლოებით იგივე ტენდენციაა **რეგიონებში.**

აღნიშნულ მოსაზრებას ყველაზე მეტად არ ეთანხმებიან თბილისელები (60%) და პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლები (76%).

ქ/ოცნების ამომრჩეველთა 76% **ეთანხმება,** რომ ქ/ოცნების ხელისუფლებისგან ჩამოშორება გაზრდის რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხეს.

რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თუ ქ/ოცნება არ დარჩება ხელისუფლებაში, გაიზრდება საქართველოს რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხე? (N=2000)



ყველა ჯგუფში (ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა) **უფრო მეტი მომხრე ჰყავს მოსაზრებას**, რომ თუ ქართული ოცნება ხელისუფლებაში არ იქნება, მოხდება **ქვეყნის წინსვლა.**

ამ მოსაზრებას თითქმის ყოველი მეორე (49%) იზიარებს თბილისში, ხოლო პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში - 75%.

ქ/ოცნების მომრჩევლებში უმრავლესობა (62%) ფიქრობს, რომ ქ/ოცნების ხელისუფლებაში არყოფნით მოხდება **ქვეყნის უკუსვლა.**

თქვენი აზრით, რა მოხდება, თუ ქართული ოცნება ხელისუფლებაში აღარ იქნება? (N=2000)



პოლიტიკოსების მიმართ კეთილგანწყობა

საქართველოს მოსახლეობაში კეთილგანწყობის შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩევიან:

- კახა კალაძე (28%)
- სალომე ზურაბიშვილი (27%)
- ირაკლი კობახიძე (26%)
- ნიკა მელია (25%)
- ბიძინა ივანიშვილი (25%)
- ნიკა გვარამია (24%) და ა.შ.

თბილისში იმატებს ოპოზიციის მეტ-ნაკლებად რეიტინგული წარმომადგენლების მიმართ კეთილგანწყობის ხარისხი, ხოლო რეგიონებში მეტია კეთილგანწყობა ქ/ოცნების წარმომადგენლების მიმართ.



ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ კეთილგანწყობა (გაგრძელება) (N=2000)



ქართული ოცნების წარმომადგენლების მიმართ კეთილგანწყობა (N=2000)



სანქციების მიმართ დამოკიდებულება

საქართველოს მოსახლეობის პოზიციები გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, უნდა გაგრძელდეს თუ უნდა შეწყდეს ქ/ოცნების მაღაჩინოსნების დასანქცირება საერთაშორისო სტრუქტურების/ქვეყნების მიერ.

თბილისელების (56%) და, განსაკუთრებით, **პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების** (77%) უმრავლესობა დასანქცირების მომხრეა.

რეგიონებში უფორ მეტი ეწინააღმდეგება (43%) ქ/ოცნების მაღალჩინოსნების დასანქცირებას, ვიდრე ემხრობა (34%).

ქ/ოცნების ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა (82%) ეთანხმება, რომ დასანცირება უნდა შეწყდეს.



დაახლოებით ყოველი მეორე **საქართველოს** (49%) და **რეგიონების** (47%)მოსახლეობაში მიიჩნევს, რომ დასანქცირება ქ/ოცნების მაღალჩინოსნებს ასუსტებს.

ამ პოზიციას იზიარებს **თბილისელების** (55%) და, განსაკუთრებით, **პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების** (66%) უმრავლესობა.

ქ/ოცნების ამომრჩევლებში პოზიციები გაყოფილია: ერთი ნაწილი (34%) თვლის, რომ დასანქცირება ქ/ოცნების მაღალჩინოსნებს არც აძლიერებს და არც ასუსტებს, ხოლო მეორე ნაწილი (31%) ფიქრობს, რომ ასუსტებს.

თქვენი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების/ქვეყნების მიერ ქართული ოცნების მაღალჩინოსნების დასანქცირება მათ გავლენას/ძალაუფლებას საქართველოში უფრო მეტად აძლიერებს თუ ასუსტებს? (N=2000)



ნდობა ინსტიტუტების მიმართ

საქართველოს მოსახლეობაში:

- სასამართლოს მიმართ უნდობლობით განწყობილთა (41%) წილი აჭარბებს ნდობით განწყობილთა წილს (34%);
- პოლიციის მიმართ ნდობით განწყობილთა (42%) წილი აჭარბებს უნდობლობით განწყობილთა (35%) წილს;
- ჯარის მიმართ უმრავლესობა (66%) ნდობითაა განწყობილი.

რეგიონებში:

- სასამართლოს მიმართ პოზიციები გაყოფილია (ენდობა - 38%; არ ენდობა - 34%)
- პოლიციის მიმართ ნდობით განწყობილთა (48%) წილი მნიშვნელოვნად აჭარბებს უნდობლობით განწყობილთა (27%) წილს;
- ჯარის მიმართ უმრავლესობა (71%) ნდობითაა განწყობილი.

თბილისში:

- უმრავლესობა არ ენდობა არც სასამართლოს (57%) და არც პოლიციას (53%). თუმცა, ენდობა ჯარს (57%).

პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში:

- უმრავლესობა არ ენდობა არც სასამართლოს (66%) და არც პოლიციას (60%). თუმცა, ენდობა ჯარს (52%).

ქ/ოცნების ამომრჩევლებში:

- დიდი უმრავლესობა ენდობა ყველა სმართალდამცავ სტრუქტურას.



საქართველოს მოსახლეობაში:

- ოპოზ. პარტიების მიმართ უნდობლობით განწყობილთა (44%) წილი აჭარბებს ნდობით განწყობილთა წილს (33%);
- ქ/ოცნების მიმართ ყოველი მეორე (51%) უნდობლად არის განწყობილი; ხოლო ნდობით - 33%
- ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებას ენდობა ერთი ნაწილი (39%), ხოლო არ ენდობა 35%

რეგიონებში:

- ოპოზ. პარტიებს არ ენდობა უფრო მეტი (41%), ვიდრე ენდობა (32%)
- ქ/ოცნებას არ ენდობა 45%, ენდობა 38%
- ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებას ენდობა უფრო მეტი (46%), ვიდრე არ ენდობა (26%)

თბილისში:

- უმრავლესობა არ ენდობა არც ქ/ოცნებას (66%) და არც ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებას (55%). მეორე მხრივ, თითქმის ყოველი მეორე (48%) ენდობა ოპოზიციურ პარტიებს.

რამდენად ენდობით ... (პოლიტიკური აქტორები) (N=2000)



ევროკავშირს ენდობა ყველა ჯგუფის უმრავლესობა, ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა. თუმცა, ქ/ოცნების ამომრჩევლებშიც უფრო მეტია ნდობით განწყობილი (44%), ვიდრე - უნდობლობით (27%).

ნატოს ენდობა საქართველოს, თბილისის და პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების უმრავლესობა; რეგიონებში ნდობითაა განწყობილი ყოველი მეორე (49%); ხოლო ქ/ოცნების ამომრჩევლებში უფრო მეტი არ ენდობა (36%), ვიდრე ენდობა (32%).

გაეროს მიმართ ნდობა ყველაზე მაღალია პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში (64%), ხოლო ყველაზე დაბალი - ქ/ოცნების ამომრჩევლებში (34%). საქართველოს და რეგიონების მოსახლეობაში, აგრეთვე, თბილისელებში ნდობის მაჩვენებლები აჭარბებს უნდობლობის მაჩვენებლებს.



FARA-ს მიმართ დამოკიდებულება

საქართველოს მოსახლეობაში ყველაზე დიდია იმათი წილი (45%), ვისაც გაუჭირდა/არ ისურვა FARA-ს შეფასება. ამასთან, 36% თვლის, რომ FARA მიმართულია დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო სექტორის დასუსტებისკენ.

რეგიონების მოსახლეობაში ყოველი მეორე (50%) ვერ/არ აფასებს ამ კანონს, ხოლო 30% უარყოფითად აფასებს.

თბილისში თითქმის ყოველი მეორე (50%) FARA-ს უარყოფითად აფასებს, თუმცა მესამედს გაუჭირდა/არ ისურვა შეფასების გაკეთება.

პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში FARA-ს ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს (65%), თუმცა თითქმის მესამედი (31%) ვერ/არ აფასებს.

ქ/ოცნების ამომრჩევლებში 46%-ს გაუჭირდა ან არ ამჟღავნებს FARA-ს მიმართ საკუთარ შეფასებას, თუმცა, 44% მიიჩნევს, რომ FARA დაიცავს სახელმწიფოს გარე ძალების ჩარევებისგან და გაზრდის ქვეყნის სუცერენიტეტს.

„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტთან" (FARA) დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება. თქვენ რომელ მათგანს იზიარებთ? (N=2000)



მედიასაშუალებებით სარგებლობა და ნდობა

ყველა სამიზნე ჯგუფში გამოიკვეთა **საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების** 2 ძირითადი წყარო:

- საქართველოს სატელევიზო არხები
- სოციალური მედია



საქართველოს მოსახლეობაში და რეგიონებში დაწინაურებულია 3 სატელევიზო არხი: ტვ პირველი, იმედი და რუსთავი 2

თბილისში და, განსაკუთრებით, პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში, ლიდერობს ტვ პირველი; მეორე -მესამე ადგილებს იყოფენ ფორმულა და რუსთავი 2.

კონკრეტულად რომელი მედიასაშუალებით იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ? (N=1258)



სოციალურ მედიებს შორის, ყველა სამიზნე ჯგუფში, უპირობო ლიდერია **ფეისბუქი.**

შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს **იუთუბს, ინსტაგრამს და ტიკტოკს.**

კონკრეტულად რომელი სოციალური ქსელებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ? (N=2000)



რამდენად ენდობით ტელეარხებს? (N=2000)

საქართველოს მოსახლეობაში, ტელეარხებს შორის, ნდობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ტვ პირველი

რეგიონებში - ტვ პირველი და იმედი

თბილისში - ტვ პირველი და ფორმულა

პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში - ტვ პირველი და ფორმულა

ქ/ოცნების ამომრჩევლებში - იმედი და რუსთავი 2



ძირითადი მიგნებები

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (58%) ქვეყნის **არასწორი მიმართულებით** განვითარებაზე მიუთითებს. ეს დამოკიდებულება ნარჩუნდება რეგიონებშიც (52%) და, განსაკუთრებით, თბილიელებში (71%) და პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში (88%).

ქ/ოცნების ამომრჩევლების 85% ქვეყნის სწორი მიმართულებით სვლაზე მიუთითებს.

2023-25 წლებში ოჯახების **ეკონომიკური მდგომარეობის უცვლელობაზე** მიუთითებს საქართველოს, რეგიონებისა და თბილისის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

მეორე მხრივ, თითქმის ყველა ჯგუფში, ოჯახების **ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების** მაჩვენებლები აჭარბებს გაუმჯობესების მაჩვენებლებს (მაგალითად, საქართველოს მოსახლეობაში 34% საუბრობს გაუარესებაზე, ხოლო 18% - გაუმჯობესებაზე).

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ადასტურებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა (ბოლო 2 წლის ოფიციალური მონაცემებით) მათი ოჯახების ეკონომიკურ ზრდაზე **არ ასახულა** - ამ პერიოდში ეს მდგომარეობა იგივე დარჩა ან გაუარესდა. ამასვე აღნიშნავს თბილისისა და რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობა.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

საქართველოში **პოლიტიკური კრიზისის** არსებობას აღიარებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (72%). მაჩვენებლები შედარებით მაღალია თბილისში (83%), ხოლო შედარებით დაბალი - რეგიონებში (68%).

თვით ქ/ოცნების ამომრჩევლებში ყოველი მეორე პოლიტიკური კრიზისის არსებობას ადასტურებს.

პოლიტიკურ კრიზისზე **ძირითად პასუხისმგებელ აქტორად** დასახელებულია ქართული ოცნება (ქ/ოცნების ამომრჩევლებში - ნაციონალური მოძრაობა და სხვა ოპოზიციური პარტიები).

ქვეყნის წინაშე მდგარ მნიშვნელოვან პრობლემებს შორის **საქართველოს მოსახლეობაში** დაწინაურებულია: მაღალი ფასები, ოკუპირებული ტერიტორიები, ემიგრაცია, დაბალი პენსიები, ნარკოტიკების გავრცელება, დაბალი ხელფასები, სიღარიბე, უმუშევრობა და ა.შ. **თბილისელებში,** დამატებით, ხაზგასმულია: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შელახვა, სასამართლოს არადამოუკიდებლობა, დასავლეთთან გაუარესებული ურთიერთობა და ა.შ.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

საქართველოს მოსახლეობაში ყოველი მეორე (50%) თვლის, რომ ქ/ოცნების ხელისუფლების პირობებში ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. **თბილისში** ამ პოზიციას იზიარებს უმრავლესობა (63%), ხოლო **რეგიონების** მოსახლეობის აზრი გაყოფილია.

მიმდინარე საპროტესტო აქციებს საქართველოს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (43%) ემხრობა. მხარდაჭერა მნიშვნელოვნად იზრდება თბილისელებში (62%). რეგიონებში საპროტესტო აქციებს არ ემხრობა 40%, ხოლო ემხრობა 35%.

ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მომხრეა საქართველოსა (55%) და თბილისის (63%) მოსახლეობის უმრავლესობა. რეგიონებში ახალ საპარლამენტო არჩევნებს მხარს უჭერს ყოველი მეორე (51%), ეწინააღმდეგება 38%.

კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერაა გამოხატული **საპროტესტო აქციების დროს დაკავებული ადამიანების განთავისუფლების** მიმართ (საქართველო - 73%; თბილისი - 79%; რეგიონები - 70%).

ქ/ოცნების წინააღმდეგ **პროტესტის გაგრძელებას** ემხრობა: საქართველოს მოსახლეობის უფო დიდი ნაწილი (44%), ხოლო თბილისელების 60%-მდე; რეგიონების მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (45%) ფიქრობს, რომ პროტესტი უნდა **შეწყდეს.**

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

მზია ამაღლობელის მიმართ წაყენებულ ბრალდებას **უსამართლოდ** მიიჩნევს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (59%). უსამართლობის განცდა მაღალია რეგიონებშიც (54%) და გაცილებით მაღალია თბილისელებში (70%).

ირაკლი ოქრუაშვილის, ზურაბ ჯაფარიძის, ნიკა მელიასა და ნიკა მელიას პატიმრობა **უსამართლოდ** მიაჩნია **საქართველოს მოსახლეობიდან** ყოველ მეორეს (49%). **თბილისელებში** ეს პოზიცია აქვს უმრავლესობას (59%), ხოლო რეგიონებში - 45%-ს.

საქართველოს მოსახლეობისთვის ენმ-ის სავარაუდო დანაშაულების გამომძიებელი კომისიის საქმიანობა უფრო **არალეგიტიმურია** (41%), ვიდრე ლეგიტიმური (36%). აღნიშნული კომისიის არალეგიტიმურობას აღიარებს თბილისელთა უმრავლესობა (58%); რეგიონებში შეფასება უფრო მეტად გადახრილია კომისიის ლეგიტიმურობისკენ (40%).

საქართველოს მოსახლეობაში (55%), თბილისში (62%) და რეგიონებში (52%) უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქ/ოცნების **საგარეო კურსი რუსეთის და რუსეთთან დაახლოებული ქვეყნების ინტერესების გატარებას** ემსახურება. ქ/ოცნების ამომრჩეველთა უმრავლესობის (66%) აზრით, ქ/ოცნება **ეწევა დაბალანსებულ პოლიტიკას** და კონკრეტულად არც ერთი ქვეყნის ინტერესებს არ ატარებს.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

ევროკავშირში საქართველოს გაწევრების მიმართ მხარდაჭერა მაღალია როგორც საქართველოს მოსახლეობაში (83%), ისე თბილისში (85%) და რეგიონებში (82%). მხარდაჭერა იკლებს, თუმცა კვლავ უმრავლეობას შეადგენს, ქ/ოცნების ამომრჩევლებში (68%).

ნატოში გაწევრების მიმართ მხარდაჭერა გამოხატულია საქართველოს (68%), რეგიონებისა (68%) და თბილისის (67%) მოსახლეობის უმრავლესობაში (ქ/ოცნების ამომრჩევლებში ნატოში გაწევრებას მხარს უჭერს 50%, ხოლო ეწინააღმდეგება 39%).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს **ნეიტრალიტეტს** (არგაწვეიანებას არცერთ საერთაშორისო პოლიტიკურ/სამხედრო ალიანსში) მხარს უჭერს საქაღველოს მოსახლეობის 52% (ეწინააღმდეგება 36%).

ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში ევროკავშირში გაწევრების **მოლოდინი** არ აქვს: საქართველოს მოსახლეობაში - 46%-ს; თბილისის მოსახლეობაში - 56%-ს, ხოლო რეგიონების მოსახლეობაში - 42%-ს.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

ე.წ. **„დიფ სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის** არსებობა და გავლენები **არ არის დამაჯერებელი** არც საქართველოს მოსახლეობის (53%), არც თბილისის მოსახლეობის (62%) და, მით უფრო, არც პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების (75%) უმრავლესობისთვის. „დიფ სთეითის“ და გლობალური ომის პარტიის არსებობის სჯერა ყოველ მეორეს ქ/ოცნების ამომრჩევლების ჯგუფში (49%), არ სჯერა 22%-ს.

ყველა სამიზნე ჯგუფში (ქ/ოცნების ამომრჩევლების გარდა) გამოკვეთილი უმრავლესობა აღიარებს, რომ **დიდი ან სერიოზული საფრთხე არსებობს,** საქართველოს შეუჩერდეს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა. თუ ეს მოხდა, ძირითად პასუხისმგებლობას რესპონდენტები ანიჭებენ ქ/ოცნებას.

საქართველოს (47%) და რეგიონების (49%) მოსახლეობაში **უფრო დიდი ნაწილი** ფიქრობს, რომ ქ/ოცნებამ საქართველოს თავიდან ააცილა **რუსეთთან საომარი მოქმედებების** დაწყება. თბილისის (53%) და პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლების (73%) უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

საქართველოს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი (43%) თვლის, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები **უსამართლოდ** ჩატარდა. ამავე პოზიციაზეა თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა (56%). რეგიონების მოსახლეობაში აზრი **გაყოფილია** (37% - უსამართლოდ, 36% - სამართლიანად).

საქართველოს და რეგიონების მოსახლეობაში პოზიციები **გაყოფილია:** ერთი (შედარებით დიდი) ნაწილი მიიჩნევს, რომ ქ/ოცნების ხელისუფლება არლეგიტიმურია (44%), ხოლო მეორე ნაწილი - ლეგიტიმურია (39%). თბილისელების უმრავლესობს (56%) ქ/ოცნება **არალეგიტიმურად** მიაჩნია.

საქართველოს მოსახლეობაში უფრო დიდი ნაწილი (46%) ემხრობა ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციის უპირობო მონაწილეობას. ბოიკოტს ემხრობა დაახლოებით მეხუთედი (22%), ხოლო 16% - ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციის შესვლას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დათქმით. იგივე ტენდენციაა **რეგიონებში.**

თბილისში ოპოზიციის მხრიდან ადგილობრივი არჩევნების **ბოიკოტს ან მასში მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დათქმით** მონაწილეობას უფრო მეტი უჭერს მხარს (47%), ვიდრე უპირობო მონაწილეობას (41%).

პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში უფრო დიდი ნაწილი (43%) ოპოზიციის მხრიდან ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტის მომხრეა, ხოლო 26% - ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დათქმით მონაწილეობის (26%). უპირობო მონაწილეობას ემხრობა 20%.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

ადგილობრივი არჩევნების სამართლიანად ჩატარების მიმართ **საქართველოს მოსახლეობაში** პოზიციები გაყოფილია: ერთ ნაწილს (45%) ასეთი მოლოდინი არ აქვს, ხოლო მეორე ნაწილს (43%) - აქვს. **რეგიონებში** ადგილობრივი არჩევნების სამართლიანად ჩატარების მოლოდინი აქვს ყოველ მეორეს, ხოლო ასეთი მოლოდინი არ აქვს 37%-ს. **თბილისელთა** უმრავლესობას (71%) არ აქვს იმის მოლოდინი, რომ ადგ. არჩევნები სამართლიანად ჩატარდება.

მეინსტრიმული პოლიტიკური ძალების რეიტინგები (ალოკაციით) ასეთია:

- **ქართული ოცნება** (საქართველო: ივნისი - 35.8%; მაისი - 35.2%)
- **კოალიცია ცვლილებებისთვის** (საქართველო: ივნისი - 18%; მაისი - 17%)
- **ერთიანობა - ენმ** (საქართველო: ივნისი - 16.6%; მაისი - 14.6%)
- **ძლიერი საქართველო** (საქართველო: ივნისი - 9.5%; მაისი - 13.4%)
- **გახარია საქართველოსთვის** (საქართველო: ივნისი - 10%; მაისი - 12.4%)

თბილისში ქ/ოცნების რეიტინგი : ივნისი - 23%; მაისი - 24.6%

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

საქართველოს მოსახლეობაში თითქმის ყოველი მეორე (49%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რომ თუ ქ/ოცნება არ დარჩება ხელისუფლებაში, **გაიზრდება რუსეთთან ომში ჩართვის საფრთხე** (ეთანხმება 37%); დაახლოებით იგივე ტენდენციაა **რეგიონებში;** აღნიშნულ მოსაზრებას ყველაზე მეტად არ ეთანხმებიან **თბილისელები** (60%).

საქართველოს მოსახლეობაში **კეთილგანწყობის შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩევიან შემდეგი პოლიტიკოსები:** კახა კალაძე (28%); სალომე ზურაბიშვილი (27%); ირაკლი კობახიძე (26%); ნიკა მელია (25%); ბიძინა ივანიშვილი (25%); ნიკა გვარამია (24%) და ა.შ.

თბილისში იმატებს ოპოზიციის მეტ-ნაკლებად რეიტინგული წარმომადგენლების მიმართ კეთილგანწყობის ხარისხი, ხოლო **რეგიონებში** მეტია კეთილგანწყობა ქ/ოცნების წარმომადგენლების მიმართ.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

საქართველოს მოსახლეობაში:

- **სასამართლოს** მიმართ უნდობლობით განწყობილთა (41%) წილი აჭარბებს ნდობით განწყობილთა წილს (34%);
- **პოლიციის** მიმართ ნდობით განწყობილთა (42%) წილი აჭარბებს უნდობლობით განწყობილთა (35%) წილს
- **ჯარის** მიმართ უმრავლესობა (66%) ნდობითაა განწყობილი
- **ოპოზიციური პარტიების** მიმართ უნდობლობით განწყობილთა (44%) წილი აჭარბებს ნდობით განწყობილთა წილს (33%)
- **ქ/ოცნების** მიმართ ყოველი მეორე (51%) უნდობლად არის განწყობილი; ხოლო ნდობით - 33%
- ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებას ენდობა ერთი ნაწილი (39%), ხოლო არ ენდობა 35%

საქართველოს მოსახლეობაში ყველაზე დიდია იმათი წილი (45%), ვისაც გაუჭირდა/არ ისურვა FARA-ს შეფასება. ამასთან, 36% თვლის, რომ **FARA მიმართულია დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო სექტორის დასუსტებისკენ. რეგიონების** მოსახლეობაში ყოველი მეორე (50%) ვერ/არ აფასებს ამ კანონს, ხოლო 30% - უარყოფითად აფასებს. **თბილისში** თითქმის ყოველი მეორე (50%) FARA-ს უარყოფითად აფასებს, თუმცა მესამედს გაუჭირდა/არ ისურვა შეფასების გაკეთება.

ძირითადი მიგნებები (გაგრძელება)

ყველა სამიზნე ჯგუფში გამოიკვეთა **საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების** 2 ძირითადი წყარო: საქართველოს სატელევიზო არხები და სოციალური მედია

საქართველოს მოსახლეობაში და რეგიონებში, ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, დაწინაურებულია **3 სატელევიზო არხი:** ტვ პირველი (56%), იმედი (54%) და რუსთავი 2 (51%); თბილისში და, განსაკუთრებით, პროევროპული ოპოზიციის ამომრჩევლებში, ლიდერობს ტვ პირველი; მეორე -მესამე ადგილებს იყოფენ ფორმულა და რუსთავი 2.

სოციალურ მედიებს შორის, ყველა სამიზნე ჯგუფში, უპირობო ლიდერია **ფეისბუქი.** შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს იუთუბს, ინსტაგრამს და ტიკტოკს.

გმადლობთ ყურადღებისთვის!